

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

შარლოტე კესტნერის, როგორც რეალური პიროვნების, მხატვრული ტრანსფორმაცია თომას მანის რომან ლოტე ვაიმარში

ანა ხუხუა

khukhuanna@yahoo.com

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო

ნაშრომში გაანალიზებულია, როგორ იქცა რეალური პერსონა – შარლოტე ბუფ-კესტნერი – ლიტერატურულ ნიმუშად და ინსპირაციის წყაროდ თომას მანის რომანისთვის „ლოტე ვაიმარში“. ანალიზისათვის ვიყენებთ გოეთეს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს „პოეზია და სიმართლე“ და მისსავე რომანს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“.

**საკვანძო სიტყვები:** გოეთე, ლიტერატურული პროტოტიპი, მხატვრული სახე, ფიქცია, იდენტობა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოვაჩინოთ, როგორ იქცა რეალურად არსებული პიროვნება – შარლოტე ბუფ-კესტნერი მე-20 საუკუნის დიდი გერმანელი მწერლის, თომას მანისთვის შთაგონების წყაროდ და შემოქმედებით იმპულსად. სიღრმისეული ანალიზისთვის აუცილებლად მივიჩნევთ, უპ. ყოვლისა, გოეთეს ცნობილი ავტობიოგრაფიული ნაშრომის პოეზია და სიმართლე იმ მონაკვეთების განხილვას, რომლებიც რეალურ პიროვნებას – შარლოტე ბუფ-კესტნერს ეხება. ამ ნაწარმოებში გოეთე საუბრობს მისი რომანის - ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი - ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული გმირის რეალურ პროტოტიპზე, შარლოტე ბუფ-კესტნერზე და მასთან ურთიერთობაზე.

შარლოტე ბუფი 1753 წლის 11 იანვარს ვეცლარში დაიბადა. მშობლებს ლოტეს გარდა კიდევ თერთმეტი შვილი ჰყავდათ. თვრამეტი წლის ასაკში ლოტე დედით დაობლდა და, როგორც უფროსმა ქალიშვილმა, თავის დიდ ოჯახზე და მცირეწლოვან და-ძმებზე ზრუნვის რთული პასუხისმგებლობა თავად იკისრა. ლოტეს მომავალი საქმრო, იოჰან კრისტიან კესტნერი, გერმანიის იმპერიის უმაღლესი სასამართლოს საგანგებო მდივანი, 1767 წელს ბრემენიდან სამსახურებრივი მიზნით ჩავიდა ვეცლარში და მოიხიბლა ლოტეთი. საბოლოოდ წყვილის ურთიერთობა ნიშნობამდე მივიდა.

## ა. ხუხუა

1772 წლის მაისიდან სექტემბრამდე ჭაბუკი იოჰან ვოლფგანგ გოეთე იურიდიულ პრაქტიკას გადის საიმპერატორო სააპელაციო სასამართლოში, ვეცლარში. გოეთემ და ლოტემ ერთმანეთი 1772 წლის 9 ივნისს ვეცლარის მახლობლად, ვოლპერტსჰაუზენში გამართულ მეჯლისზე გაიცნეს. გოეთეს შეუყვარდა ლოტე, თუმცა შეყვარებულ პოეტს დანიშნულმა ქალმა ვერ უპასუხა. გარკვეული ხნის შემდეგ გოეთე გამოუმშვიდობებლად დაბრუნდა ფრანკფურტში.

სწორედ ამ დროს, უშედეგო გამიჯნურების მსხვერპლი გახდა ბრაუნშვაიგელი ახალგაზრდა - კარლ ვილჰელმ იერუზალემი. მან 1772 წლის 30 ოქტომბერს ვეცლარში, კესტნერისგან ნათხოვარი დამბაჩით მოიკლა თავი. თვითმკვლევლობის მოტივი გათხოვილი ქალისადმი იერუზალემის უიღბლო სიყვარული აღმოჩნდა. სწორედ იერუზალემი იქცა გოეთეს რომანის (ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი) პერსონაჟის – ვერთერის პროტოტიპად.

გოეთეს წარმოსახვაში ლოტესადმი განცდილი გრძნობა და იერუზალემის ისტორია გადაეჯაჭვა ერთმანეთს. თითქოს განსხვავება წაიშალა „პოეზიასა“ და „სიმართლეს“, ანუ შეთხზულსა და რეალობას შორის. „So konnte es nicht fehlen, daß ich jener Produktion die ich eben unternahm, alle die Glut einhauchte, welche keine Unterscheidung zwischen dem Dichterischen und dem Wirklichen zuläßt“ (Goethe 1998: 630), – აღნიშნავს გოეთე თავის პოეზიასა და სიმართლეში. ღრმა განცდებმა და იერუზალემის თვითმკვლევლობამ, გოეთეში რომანის დაწერის იდეა წარმოშვა: „მთელი მასალა ყოველი მხრიდან შენივთდა და ერთიან მასად იქცა, ვით ჭურჭელში მოქცეული წყალი იმ მომენტში, როცა იგი გაყინვის პროცესშია და სულ მცირეოდენი ბიძგიც კმარა, რომ მყარ ყინულად იქცეს“<sup>1</sup> (Goethe 1998: 628). გოეთემ, როგორც თვითონ აღნიშნავს, „მთლიანი მონახაზის, ან რომელიმე ნაწილის დამუშავების, გარეშე ოთხ კვირაში“ დაწერა რომანი (Goethe 1998: 630). ასეთი იყო გოეთეს ეპისტოლარულ ჟანრში დაწერილი უკვდავი ნაწარმოების ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი შექმნის რეალური წინაპირობა.

გოეთე პოეზიასა და სიმართლეში თავის ურთიერთობას ლოტესთან რომანტიკულ ფერებში ხატავს. ახლადჩამოსული, ყველანაირი კავშირებისგან თავისუფალი, „უდარდელი“ გოეთე თავს კარგად გრძნობს ლოტეს გვერდით, სიამოვნებს მასთან მეგობრობა და ურთიერთობა, ინაწილებს „იმ უმანკო სიხარულს, რომელსაც ახალგაზრდობა დიდი ჯაფის გარეშე ფლობს“ (Goethe 1998: 582). გოეთე იხიბლება ლოტეს თვისებებით, ასევე – ლოტესა და მისი საქმროს ნდობითა და მეგობრული განწყობით. მოწი-

<sup>1</sup> აქ და ყველგან მონაკვეთების თარგმანი გოეთეს ნაწარმოებიდან პოეზია და სიმართლე ჩემია (ა. ხუხუა).

ფული ასაკის გოეთე პოეზიასა და სიმართლეში ზოგჯერ მესამე პირში საუბრობს საკუთარ თავზე და ამგვარად აღწერს თავის მაშინდელ შეგრძნებებს: „Müßig und träumerisch, weil ihm keine Gegenwart genügte, fand er was ihm abging in einer Freundin, die, indem sie fürs ganze Jahr lebte, nur für den Augenblick zu leben schien.“ (Goethe 1998: 583) ლოტესაც უყვარს გოეთე როგორც მისი განუყოფელი თანამგზავრი მინდვრებსა თუ მდებარეობებში ხეტიალისას. გოეთე აღფრთოვანებით იგონებს ამ იდილიას: „სადაგი დღეები ერთმანეთს მიეწყო და ყველა მათგანი სადღესასწაულო დღედ გადაიქცა. თითქოს მთელი კალენდარი წითლად დაებეჭდოთ“ (Goethe 1998: 584).

პოეზიასა და სიმართლეში გოეთე გატაცებით საუბრობს ლოტეს მზრუნველი და მოსიყვარულე ბუნების შესახებ: „Nach dem Tode ihrer Mutter, hatte sie sich als Haupt einer einer zahlreichen jüngeren Familie höchst tätig erwiesen und den Vater in seinem Witwerstand allein aufrecht erhalten [...]. Ein jeder gestand, auch ohne diese Lebenszwecke eigennützig für sich im Auge zu haben, daß sie ein wünschenswertes Frauenzimmer sei“ (Goethe 1998: 582).

გოეთე თითქმის ყოველდღიური და სასურველი სტუმარი გახდა ბუფების ოჯახში. ის აღფრთოვანებულია ლოტეს კეთილშობილი და უპრეტენზიო ხასიათით, ასევე იხიბლება ლოტეს მიერ პატარა დაძმების მიმართ გამოჩენილი უანგარო მზრუნველობით.

თუმცა ლოტეს ოჯახის წევრების მოგონებებისა და თვით გოეთეს პოეზიისა და სიმართლის მიხედვით წარმოდგენილი რეალური ლოტე ბევრად თავშეკავებული და არასენტიმენტალურია, ვიდრე მისი ლიტერატურული პროტოტიპი გოეთეს რომანში. კესტნერი თავის მეგობარ ავგუსტ ფონ ჰენინგს წერდა: „Lottchen wußte ihn so kurz zu halten und auf eine solche Art zu behandeln, daß keine Hoffnung bei ihm aufkeimen konnte“ (Wolff Hrsg. 1894: 52). ვეცლარიდან გამგზავრების რამდენიმე წლის შემდეგ გოეთე თავადვე სვამს ამგვარ კითხვას: „Apropos ist denn Lotte immer noch so schnippisch?“ (Kestner 1914: 250) შარლოტე ბუფ-კესტნერის ვაჟი ავგუსტიც ამგვარად იგონებს დედას: „Geschaffen für die Wirklichkeit des Lebens, und zwar dessen heiterste Seite, war durchaus kein sentimentales Element in ihrem Charakter, und wo die Lotte im Werther mit romanhaften Ideen beschäftigt, wo sie gar tändelnd dargestellt wird, waren die Züge nicht aus ihrem Leben genommen“ (Kestner 1914: 9).

ვეცლარიდან გამგზავრების წინა, 10 სექტემბრის საღამო გოეთემ დანიშნულ წყვილთან საუბარში გაატარა. საუბარი შეეხებოდა გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლეს და საიქიოში შესაძლო კვლავ შეხვედრას. 10 სექტემ-

## ა. ხუზუა

---

ბრის საუბრის ეს ჩანაწერი იმავე, ავთენტური თარიღით გადავიდა ვერთერში: „ჩვენ ისევ შევხვდებით და ყოველწლიურ აღნაგობაში ჩვენ უთუოდ ვიცნობთ ერთმანეთს“ (გოეთე 1967: 318).

პოეზიასა და სიმართლეში გოეთე ლოტეს მხატვრული სახის შესახებ განმარტავს, რომ მან თავს ნება მისცა, თავისი „ლოტე“ რამდენიმე პიროვნული მახასიათებლისგან შეექმნა, თუმცა მისი მხატვრული სახის ძირითადი თვისებები მაინც საყვარელი ადამიანისგან აიღო (Goethe 1996: 636).

მოვლენები, რომელსაც გოეთეს რომანი ვერთერი ეფუძნება, არ შემოიფარგლება მხოლოდ გოეთე-ლოტე-კესტნერის სასიყვარულო სამკუთხედით. ნაწარმოების შექმნის ისტორიული ჩარჩო მე-18 საუკუნის ევროპული სინამდვილითაა განპირობებული. გოეთეს რომანში ვერთერის ტრაგედია სოციალურ ფონზეა წარმოდგენილი და მხოლოდ უნუგეშო სიყვარულით გამოწვეული არაა. ნათელი გონების, სპეტაკი სულის ვერთერი მკვეთრად ემიჯნება ცხოვრებით კმაყოფილ, არსებულთან შეგუებულ იმ ფილისტერულ, ბიუროკრატიულ გარემოს, რომლის ბრწყინვალე მხატვრულ განზოგადებას რომანში ალბერტი წარმოადგენს. განხეთქილება თავის დროსთან, თავის წრესთან და გარემოსთან, საკუთარი ზედმეტობის შეგრძნება თანადროულ საზოგადოებაში არის გოეთეს რომანის გმირის – ვერთერის ტრაგიკული განწყობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი საბაზი.

შარლოტე ბუფ-კესტნერის შემდგომი ცხოვრება ჩვენი კვლევისთვის ძირითადად საინტერესოა, როგორც გოეთეს ლიტერატურული გმირის არქეტიპის ცხოვრება. ლოტეს, კესტნერის და რომანის ავტორის რეალური ცხოვრება მომავალში ცვლილებებს განიცდის. ოჯახი ჰანოვერში გადავიდა საცხოვრებლად. გოეთე ვაიმარშია კარლ აუგუსტის კარის საიდუმლო მრჩევლის თანამდებობაზე. კესტნერების და გოეთეს ცხოვრების გზა იშვიათად, მაგრამ მაინც ჰკვეთს ერთმანეთს. 1774 წელს კესტნერების უფროსი ვაჟი გეორგი დაიბადა, რომლის ერთ-ერთი ნათლია გოეთეც იყო. შარლოტეს ერთ-ერთი ქალიშვილი ვერთერის მთავარი პერსონაჟის – „შარლოტე ალბერტინას“ სახელით მონათლეს.

რეალური შარლოტე ბუფ-კესტნერის ვიზიტი ნათესავებთან ვაიმარში, 1816 წლის სექტემბერში, თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. ლოტე დაინტერესებული იყო გოეთეს კვლავ ნახვით. გოეთემ შეიტყო რა ლოტეს ვაიმარში ყოფნის შესახებ, პირველსავე დღეებში იგი სადილად მიიწვია თანმხლებ ქალიშვილ კლარასა და ნათესავებთან ერთად. ამ შეხვედრის შესახებ 25 სექტემბერს გოეთე მოკლე ჩანაწერს აკეთებს დღიურში: „სადილი რიდელებთან და მადამ კესტნერთან.“ სწორედ გოეთეს ეს მშრალი, საქმი-

ნი ტონის მქონე სტრიქონი და ვაიმარის სასტუმრო ელეფანტის დოკუმენტებში გატარებული ცნობა შარლოტე ბუფ-კესტნერის ჩამოსვლის თაობაზე, იქცა თომას მანის რომანის *ლოტე ვაიმარში* შთაგონების წყაროდ.

რომანზე მუშაობა თომას მანმა 1936 წელს, ამერიკაში ემიგრაციისას დაიწყო. იგი დაწვრილებით გაეცნო გოეთეს ბიოგრაფიას, შეისწავლა გოეთეს თანამედროვეების მიერ გოეთეზე შექმნილი უამრავი მასალა, ამავე პერიოდში თავადაც მიუძღვნა ესეები გოეთეს და განსაკუთრებული ინტერესით გაეცნო ბოდეს მიერ გოეთეზე შექმნილ კვლევებს, სადაც გაჟღერებული იყო ცნობა ხანდაზმული შარლოტე ბუფ-კესტნერის ვაიმარში ვიზიტის შესახებ.

გოეთესეული „პოეზია“ და „სიმართლე“ (*Dichtung und Wahrheit*) თომას მანის რომან *ლოტე ვაიმარში* გოეთეს მხატვრულ სახეში კვლავ გაცოცხლდა, ერთმანეთს შეერწყა რეალობა და ფიქცია. რომანში თხრობა 1816 წელს, შარლოტე კესტნერის ვაიმარში ისტორიულად დადასტურებული ვიზიტის აღწერით, იწყება. მკვლევარ ირმელა ფონ დერ ლუეს მითითებისამებრ, მოსაზრებები, რომლებსაც თომას მანი თავის საუბრებში, წერილებსა და ესეებში ავითარებდა, მან თავის რომანში გოეთეს პირით წარმოთქვა. „Legte er in seinem Roman „Lotte in Weimar“ nunmehr Goethe in den Mund“ (Von der Lühe 2009: 9).

რომანის სათაურშივე (*ლოტე ვაიმარში*) ერთმანეთს ერწყმის რეალობა და მხატვრული გამონაგონი, რადგან თომას მანის რომანში ნამდვილი შარლოტე კესტნერის (დაბადებით ბუფი, 1753-1828) მხატვრული სახე გოეთეს ვერთერის პერსონაჟ ლოტესთან კავშირში მოიაზრება. თომას მანის რომანში ზოგიერთი ისტორიული ფაქტი შეცვლილია. მაგალითად, შარლოტე კესტნერი ნათესავებთან კი არ რჩება ვაიმარში, არამედ ამჯობინებს სასტუმრო ელეფანტში გაჩერდეს. დიალოგები ნამდვილად არსებულ ისტორიულ პირებთან – ადელე შოპენჰაუერსა და დრ. რიმერთან, ისევე როგორც დიალოგები ფიქტიურ პერსონაჟებთან – სასტუმროს მფლობელ მაგერთან და მხატვარ როუზ კაზლთან, ავტორის მიერ შეთხზული და გამოგონილია. ამ დიალოგების საშუალებით იკვეთება, რომ მათ სურვილი აქვთ გაეცნონ ლოტეს, როგორც არქექტიპს რომანიდან ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი და მას გოეთესთან ურთიერთობაზე ესაუბრონ. თომას მანის რომანის მიხედვით, შარლოტე კესტნერი ვაიმარში თავის ერთ-ერთ ქალიშვილ შარლოტესთან ერთად ჩავიდა და არა უფროს ქალიშვილ კლარასთან ერთად, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ამგვარი ცვლილებების საშუალებით შარლოტე კესტნერს თითქოს შეუძლია საკუთარი ახალ-



## ა. ხუხუა

---

გაზრდობა ქალიშვილის სახელის მეშვეობით წარმოადგინოს (Nutt-Kofoth 2004: 248).

თომას მანის რომანი, ერთი შეხედვით, თითქოს ემყარება აზრს, რომ რეალურად არსებული შარლოტე კესტნერი ლიტერატურული პერსონაჟის - ლოტეს პროტოტიპია გოეთეს ეპისტოლარული რომანიდან, მაგრამ თავად შარლოტე კესტნერს ამაში ზოგჯერ ეჭვი ეპარება. რომანის გმირების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ შარლოტე კესტნერი ვერთერის ლოტეს არქეტიპია. ზოგიერთი მეცნიერი კითხვას სვამს: შარლოტე ბუფ-კესტნერის გარდა კიდევ ვინ შეიძლება ყოფილიყო გოეთესთვის ინსპირაცია ლოტეს მხატვრული სახის შესაქმნელად. ეს დღესაც მსჯელობის საგნად რჩება (Safranski 2015: 153).

თომას მანის რომანის მთავარი ლიტერატურული ფიგურის – შარლოტე კესტნერის მხატვრული სახე ფიქტიურობის რამდენიმე შრეს მოიცავს და იგი სინამდვილისა და ფიქციის მონაცვლეობისაგან შედგება: რეალურად შარლოტე კესტნერი მრავალი წლის შემდეგ კვლავ შეხვდა თავისი ახალგაზრდობის სიყვარულს. რომანში ჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაწარმოები ერთ პირს – რეალურ პიროვნებას, შარლოტე ბუფს ეხება, თუმცა შემდგომ ცხადი ხდება, რომ ეს პერსონაჟი მრავალი მნიშვნელობის შემცველია: თომას მანის რომანში შარლოტე კესტნერი საკუთარ თავს სხვადასხვა ვერსიებად ანაწილებს: უპირველესად ის რალური 63 წლის შარლოტე კესტნერია, რომელსაც თავისი სიყმაწვილისდროინდელი მეგობრის, გოეთეს, მონახულება სურს. კელნერი მაგერი კი შეხვედრისას მას სულ სხვა ლოტეზე მიანიშნებს: ის შარლოტე კესტნერს უწოდებს „ჭეშმარიტსა და ნამდვილს“. „[...]die wahre und wirkliche, das Urbild, wenn ich mich so ausdrücken darf... Mit einem Wort, es ist mir beschieden, vor Werthers Lotte.“ (Mann 1990: 14) შარლოტე კესტნერიც ადასტურებს, რომ, საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, ის ვერთერის ლოტეა: „Da ging es erst an, den es kam das Buch, und ich wurde die unsterbliche Geliebte, – nicht die Einzige, Gott bewahre, es ist ja ein Reigen; aber die berühmteste, und nach der die Leute am meisten fragen“ (Mann 1990: 111). მოსაზრება, რომ შარლოტე კესტნერი გოეთეს რომანის „უკვდავი სატრფია“, თომას მანის მიერ შექმნილ მხატვრულ სინამდვილესთან პარადოქსულ მიმართებაშია: თომას მანი მარადიულ სატრფოს წარმოადგენს უკვე დაბერებული შარლოტე კესტნერის სახით. როგორც გოეთე, ასევე შარლოტე სულ სხვა ადამიანებზე დაქორწინდნენ და წლების შემდეგ ორივემ დაკარგა მეუღლე. უკვდავი აღმოჩნდა მხოლოდ ვერთერის ლოტე გოეთეს რომანიდან ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი. თომას მანის რომან-

ში გოეთეს მდივანთან, დრ. რიმერთან, საუბარში ირკვევა, რომ ვერთერის ლოტეს გარდა, სხვა ლოტეს ფიგურაც არსებობს. შარლოტე კესტნერი აღიარებს, რომ არაა დარწმუნებული, მხოლოდ თვითონაა თუ არა ვერთერის ლოტეს ერთადერთი მოდელი, რადგან თომას მანის რომანის ლოტეს აქვს რეალური ლოტესგან განსხვავებული თვალის ფერი. თუმცა დრ. რიმერი ამბობს: „[...] die Heldin einer der lieblich ergreifendsten Episoden im Leben des Heros, die Lotte des jungen Goethe, Verehrteste, ist jedenfalls nur Eine“ (Mann 1990: 110). დრ. რიმერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ახალგაზრდა გოეთეს ლოტე „ერთადერთია“ („nur Eine“).

ხანდაზმული ადამიანი და ახალგაზრდა ქალის ლიტერატურული პროტოტიპი გოეთეს რომანიდან, თომას მანის რომანში აღარ არის ერთი და იგივე ინდივიდი. ეს ცხადად ჩანს გოეთესა და შარლოტეს ხელმეორედ შეხვედრისას. გოეთეს მეგობარ, მხატვარ მაიერს შარლოტემ განუმარტა, რომ ორმოცდაოთხი წლის წინანდელი ნაცნობობის განახლება სურდა და დასძინა: „Ein Mensch, [...] der jeden Tag, ja jede Stunde ein anderer ist, wird auch ein anderer geworden sein nach vierunvierzig Jahren“ (Mann 1990: 344). წლების შემდგომ ვაიმარში პირველივე შეხვედრისას განმტკიცდა ეს აზრი: „Charlotte erkannte ihn und erkannte ihn nicht“ (Mann 1990: 345). საბოლოო დასკვნას ლოტეს პერსონაჟზე თავად მთხრობელი თომას მანი აკეთებს: „In ihrer Jugend mochte sie reizvoller gewesen sein, als die Tochter es heute noch war“ (Mann 1990: 10).

თომას მანს რომანში სურს აჩვენოს განსხვავება სხვადასხვა შარლოტეს შორის. რეალური შარლოტე კესტნერის მხატვრული სახის შესაქმნელად ავტორი ისტორიულ გადმოცემებს, ფაქტებს ეყრდნობა. მხატვრული სიმართლე, რომელიც ისტორიულ სიმართლეზე მიუთითებს – ფაქტობრივად ოქსიმორონია. გოეთეს ვერთერის ლოტე თომას მანის რომანში ორმაგად ფიქტიური და გამოგონილია. არ შეიძლება უარვყოთ, რომ რომანის დამაბნეველი სათაურიც სხვადასხვაგვარად გამოსახული შარლოტეს რამდენიმე ვერსიაზე მიუთითებს.

თომას მანის რომანის მესამე თავში მნახველებით თავმოებურებული შარლოტე მაგერის მისამართით გაბრაზებული წამოიძახებს: „Will er mich wohl mit seinen Identitäten in Frieden lassen? Ich habe durchaus keine Zeit für Identitäten!“ (Mann 1990: 42). ციტატა მრავალმნიშვნელოვანია რომანისათვის. თვალშისაცემია „იდენტობის“, „იგივეობის“ გამოყენება მრავლობით რიცხვში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ლოტე ეწინააღმდეგება საკუთარი პიროვნების განსხვავებული პერსპექტივებიდან აღქმას. შარლოტეს წამო-

## ა. ხუხუა

---

მახილი – „აღარ დამტოვებს ჩემთვის წყნარად, აღარ მომასვენებს ეს კაცი ამ თავისი იგივეობებით? სრულიად არ მაქვს დრო ამ თქვენი იგივეობებისთვის“ (მანი 1986: 34) – მიგვანიშნებს, რომ როგორც დრ. რიმერი, ასევე შარლოტე კესტნერი შესაძლოა რამდენიმე იდენტობის/იგივეობის მქონეა თომას მანის რომანში.

ვეცლარის პერიოდის გოეთესა და ვერთერის პერიოდის გოეთეს ერთ მხატვრულ სახეში შერწყმა რომ არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ამას თომას მანის რომანიდან შემდგომი ციტატა ცხადყოფს: „Das jüngere Volk [...] nicht beikommen, wie sehr verletzt und verschreckt wir beide, mein Guter und ich, uns fühlen mußten über diese Ausstellung unserer Personen, über so viel Wahrheit, an die so viel Unwahrheit geklebt war...“ (Mann 1990: 87). შარლოტე კესტნერი აღიარებს, რომ ვერთერის ლოტეს შესახებ გოეთე არ ამტკიცებს, რომ ის, შარლოტე კესტნერი, თავად ლოტეა: „Ich (Charlotte Kestner) Lotte sei“ (Mann 1990: 87), იგი ლიტერატურული პერსონაჟია და შესაბამისად, აბსოლუტური სიზუსტით არ გამოსახავს სინამდვილეს, რეალობას.

აშკარაა, რომ თომას მანის რომანში არსებობს რეალურისა და წარმოსახვით შექმნილის შეფარდების წონასწორობა. შარლოტე კესტნერი გაღიზიანებული ტონით ამბობს: „Man wird das alles einmal wissen müssen, weil es erforscht werden wird aus Bildungsgründen“ (Mann 1990: 95).

შარლოტეს გაცნობიერებული აქვს თავისი უკვდავი ლიტერატურული სტატუსი, თუმცა ზოგჯერ უჭირს პერსონაჟ ლოტესთან გაიგივება. ის მუდმივად იცვლის აზრს საკუთარი თავისა და ვერთერის ლოტეს მსგავსების შესახებ. რომანში შარლოტე ზოგჯერ თავდაჯერებულია და ეს მის გამონათქვამებში ერთი შეხედვით იგრძნობა: „Meinen Namen von tausend heiligen Lippen mit Ehrfurcht ausgesprochen zu wissen, sei doch ein Äquivalent gegen etliches Basengeschwätz, –und da mocht’ er recht haben“ (Mann Th. 1990: 87).

თომას მანის რომანში შარლოტეს ყოყმანსა და გაურკვევლობას ძირითადად ვერთერის ლოტეს გარეგნობის აღწერა განაპირობებს. „Aber der Lotte im Buch hat er Dorthels schwarze Augen gegeben, –wenn’s nur die ihren sind. Denn es heißt ja, sie kämen auch oder namentlich von der Maxe La Roche her, der Brentano in Frankfurt, bei der er so viel gesessen hat, als sie jung verheiratet war, bevor er den Werther schrieb, bis ihnen der Mann eine Szene machte, daß ihm die Lust verging, wieder ins Haus zu kommen. Deren Augen sollen es auch sein, sagen die Leute, und manche haben die Unverschämtheit zu sagen, Werthers Lotte habe von mir nicht mehr als von mancher anderen“ (Mann 1990: 108).



საქმე ისაა, რომ დორთელს (დოროთეა ბრანდტს) – გოეთესა და შარლოტეს საერთო მეგობარს, ჰქონდა „შავი ალუბლების“ მსგავსი თვალები. „Oft beneidete, weil [sie] wohl wußte, daß er im Grunde die schwarzen Augen liebte und ihnen eigentlich den Vorzug gab vor den wasserblauen“ (Mann Th. 1990: 108). ცხადად ჩანს, რომ რომანის პერსონაჟისა და რეალური შარლოტეს თვალების ფერის განსხვავებულობა საკმარისია, შარლოტე კესტნერმა ეჭვი შეიტანოს, ნამდვილად ისაა თუ არა ვერთერის ლოტეს პროტოტიპი.

შარლოტე კესტნერის აზრით, გოეთეს რომანის პერსონაჟ ლოტეს თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი რეალობა გააჩნია და მას – 63 წლის დაქვრივებულ ქალთან, უკვე საერთო აღარა აქვს. თუკი შარლოტე კელნერ მაგერთან საუბრისას მკაფიოდ გამოთქვამს თავის ეჭვებს და წუხს, ნამდვილად ისაა თუ არა ვერთერის ლოტე, დრ. რიმერთან დიალოგში თავის ლიტერატურულ იდენტობაზე უფრო თავდაჯერებული ჩანს. მისი საუბრის ტონი დამარწმუნებელია. „Ist es nicht ein starkes Stück und muß es mich nicht bitterlich kränken, daß ich am Ende gar wegen des bißchen Augenschwärze die Lotte nicht einmal mehr sein soll?“ (Mann 1990: 108-109).

შარლოტე წუხს იმ ფაქტის გამო, რომ ზოგიერთები ეჭვქვეშ აყენებენ მის მსგავსებას ვერთერის ლოტესთან, მაგრამ ამავე დროს ეწინააღმდეგება მაგერის მცდელობებს, ერთმანეთს შეურიოს ეს ორი იდენტობა. ეს განსხვავებული დამოკიდებულება შესაძლოა ამგვარად აიხსნას: დრ. რიმერი კარგად იცნობს გოეთეს და თავს მისი წარმატების მსხვერპლად მიიჩნევს. შარლოტე კესტნერისთვისაც არაა უცხო მსგავს მდგომარეობაში ყოფნა. მათ შორის გულწრფელი საუბარიც იზმის. კელნერი მაგერი კი საუბრისას მუდმივად აიგივებს შარლოტე კესტნერს ლიტერატურულ პერსონაჟ ლოტესთან. ის ერთადერთია, ვინც მას „ვერთერის ლოტეს“ უწოდებს (Mann 1990: 14). მის ასეთ დამოკიდებულებას განაპირობებს აღფრთოვანება და ამიტომ ფოკუსირება ხდება ლიტერატურულ პერსონაჟზე და არა თავად შარლოტე კესტნერზე. „არანამდვილსა და ნამდვილს“ შორის („Unwahrheit und Wahrheit“) ბალანსს მაგერი ვერ ახერხებს (De Clark 2018: 49).

თომას მანის შარლოტე კესტნერი მიიჩნევს, რომ ვერთერის მთავარი ლიტერატურული გმირი, უკვე „სამყაროს ეკუთვნის“, თუმცა მისი დამოკიდებულება გოეთეს მიერ შექმნილ და ლეგენდადქცეულ მხატვრულ სახესთან ორაზროვანია: ერთი მხრივ, მას რცხვენია თავისი გრძნობების საჯაროდ გამომწვეურების გამო: „Ach, ich schäme mich, wenn ich's lese, Herr Doktor, schäme mich damit dazustehen in meiner Nische vor allem Volk!“ (Mann 1990: 111), მეორე მხრივ, შარლოტე აცნობიერებს, რომ ის დიდი

## ა. ხუხუა

---

მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ნაწილია. მას თვითმითიზირების განცდა ეუფლება: „Da ging es erst an, den es kam das Buch, und ich wurde die unstrebliche Geliebte, –nicht die Einzige, Gott bewahre, es ist ja ein Reigen; aber die berühmteste, und nach der die Leute am meisten fragen“ (Mann 1990: 111). შარლოტე აღნიშნავს, რომ გოეთეს ეპისტოლარული რომანი მისთვის სატანჯველიც იყო. „Vierundvierzig Jahre lang, mein lieber Herr Doktor, die zu meinen neunzehn von damals hinzugekommen sind, ist sie mir ein Rätsel, warum sollt' ich ein Hehl daraus machen, die Genügsamkeit mit Schattenbildern, die Genügsamkeit des Kusses, aus dem, wie er sagt, keine Kinder werden“ (Mann 1990: 94).

თომას მანის რომანში ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ შარლოტე თავად გადაწყვეტს წარსული გამოიხმოს. ვაიმარში წამოსვლისას მან წამოიღო თეთრი, ბაცი წითელი ბაფთებით მორთული კაბა. „Die Hofrätin errötete, was sie gut und rührend kleidete. Es verjungte sie merkwürdiger Weise, veränderte ihr Gesicht ins Lieblich-Jungmädchenhafte: man glaubte auf einmal zu erkennen, wie es mit zwanzig Jahren ausgesehen hatte“ (Mann 1990: 25). განუსაზღვრელი ნაცვალსახელის („man“) გამოყენების საშუალებით განზოგადება ტიპურია რომანისთვის. შარლოტე კესტნერს გაცნობიერებულ აქვს საკუთარი როლის მნიშვნელობა ვერთერის ლოტეში. მან თავად უწყის ამ პატარა დეტალის ისტორია და სიმბოლიკა. თომას მანის შარლოტე კესტნერი ასევე იცნობს საკუთარ ვინაობაზე მორგებულ სხვადასხვა იდენტობებს და ნარატივებს; იცნობს მათ სავარაუდო ლიტერატურულ ანალოგსაც და იცის, რა განიზრახა ვერთერის ავტორმა გოეთემ. თავის ქალიშვილთან საუბრისას ის აღნიშნავს: „Aber da sieht man's, daß die Männer – und die Poeten nun gar – nur an sich denken; denn er bedenkt nicht, daß wir die Neugiersnot auch noch ausstehen haben wie er, zu allem andern dazu, was er uns angetan, deinem guten seligen Vater und mir, mit seiner heillosen Vermischung von Dichtung und Wahrheit...“ (Mann 1990: 23).

თომას მანის რომანში ავტორი ნათლად აჩვენებს, რომ მე-18 საუკუნეში შექმნილი ვერთერის წარმატება გოეთესა და შარლოტე ბუფის ლიტერატურული კავშირის მითიზირებას განაპირობებს, რაც მათი რეალური კავშირი სულაც არაა.

თომას მანთან შარლოტე კესტნერი ამგვარადაა აღწერილი: „Man war eine sogenannte alte Frau [...] aber man lag hier und hatte Herzklopfen genau wie als Schulmädchel vor einem tollen Streich. Charlotte stellte sich betrachter vor, die das reizend gefunden hätten“ (Mann Th. 1990: 28). შარლოტე კესტნერი ისევ განიცდის, ისევ ენთუზიაზმითაა სავსე, ისევ ისე გრძნობს თავს, რო-

გორც ახალგაზრდა გოგონა გოეთეს ვერთერიდან, მაგრამ მისი პერსონა უკვე ასაკოვანია და გოეთეს რომანის პერსონაჟ „ლოტესგან“ დაშორებულ სხვა დროით განზომილებაში იმყოფება. შარლოტეს მუდმივად აკვირდებიან და ლიტერატურულ გმირთან აიგივებენ. გოეთეს რომანის ლიტერატურული ფიგურა „ლოტე“ შარლოტე კესტნერისთვის მისი იდენტობის ერთი ნაწილია. მაგრამ ის უკვე აღარაა მხოლოდ ამ რომანის ახალგაზრდა ლოტე, იგი შეიცვალა. ამიტომაც განიცდის თომას მანის შარლოტე კესტნერი, რომ თავყანისმცემლები მას მხოლოდ ფიქტიურ პერსონად აღიქვამენ. ეს კი მისი ნამდვილი რეალობის, ნამდვილი იდენტობის გადაფარვას იწვევს.

თომას მანის მიერ შექმნილი შარლოტე კესტნერის მხატვრული სახე და მისი თავგადასავალი ვაიმარში ფაქტისა და ფიქციის, რეალობისა და ფანტასტიკის, ნამდვილისა და გამონაგონს ერთობლიობაა. ავტორის მიერ სიმართლისა და გამონაგონის, რეალობისა და პოეზიის მონაცვლეობითი თამაში რომანში პოეტურ თავისუფლებას აძლევს თომას მანს.

### ლიტერატურა

- გოეთე, ი.ვ. 1967. ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- De Clerk, L. 2018. „Und ich wurde die unsterbliche Geliebte–nicht die Einzige, aber die Berühmteste“ Die (Selbst)Darstellung von Charlotte Kestners Identität in Thomas Manns Lotte in Weimar. Universiteit Gent, 2018.
- Goethe, J. W. 1998. *Dichtung und Wahrheit*. Hg. v. Walter Hettche. Stuttgart: Philipp Reclam jun.
- Goethe, J. W. 1987. *Die Leiden des jungen Werther*. Bd.1.2. Hrsg. G. Sauder. München: Carl Hanser Verlag.
- Frizen, W. 2003. *Lotte in Weimar. Kommentar*. Frankfurt am Main: Hrsg. H. Detring, Eck, Heftrich und H. Kurzke. Fischer S.
- Kestner, A. (Hrsg.) 1854. *Goethe und Werther*. Stuttgart: 1854. (Unter dem Titel *Goethe, Kestner und Lotte* neu herausgegeben von E. Berend. München: 1914).
- Mann, Th. 1997. *Lotte in Weimar*. Frankfurt am Main: Fischer Taschenbuch Verlag.
- Nutt-Kofoth, R. 2004. *Charlotte Kestners Tradierungsstrategie. Zur Funktion von Erinnerung und Gedächtnis in Thomas Manns Lotte in Weimar*. In: *Literatur als Erinnerung*. Berlin, Boston: De Gruyter.
- Safranski, R. 2015. *Goethe: Kunstwerk des Lebens*. Biographie. Frankfurt am

- Main: Fischer Taschenbuch Verlag, 2015.
- Seele, A. 2006. *Charlotte Buff. Eine echt deutsche Idylle*. In: Frauen um Goethe. Reinbek bei Hamburg: Rowolth Taschenbuch Verlag.
- Von der Lühe, I. 2009. *Lotte in Weimar–Thomas Manns Goethe zwischen Dichtung und Wahrheit*. In: Thomas-Mann Jahrbuch 22. 2009. Frankfurt am Main: Hrsg. Eck, Heftrich und Th. Sprecher. Klostermann, 2010.
- Jorns, M. 1956. *Aus dem Leben Johann Christian Kestners und Lottes geb. Buff in Hannover*. Neustadt an der Aisch.
- Ulrich, O. 1987. *Charlotte Kestner. Ein Lebensbild*. Bielefeld u. Leipzig: 1921 (Nachdruck Goslar: 1987).
- Wolff E. (Hrsg.). 1894. *Blätter aus dem Werther-Kreis*. Breslau: 1894.

## Literature and Literary theory

### The Transformation of Charlotte Kestner, as a Real Prototype, in Thomas Mann's *Lotte in Weimar*

**Anna Khukhua**

khukhuanna@yahoo.com  
Akaki Tsereteli state university  
Kutaisi, Georgia

*The paper analyzes how a real person - Charlotte Bouff-Kestner - became a literary model and a source of inspiration for Thomas Mann's novel "Lotte in Weimar". We use Goethe's autobiographical work "Poetry and Truth" and his novel "The Sorrows of Young Werther" for analysis.*

**keywords:** Goethe, literary prototype, artistic portrait, fiction, identity.

The purpose of the following paper is to portray how a real person – Charlotte Buff-Kestner became a source of inspiration and a creative impulse for the great German writer of the 20<sup>th</sup> century – Thomas Mann. For an in-depth analysis, we consider it crucial, first of all, to discuss the sections from Goethe's famous autobiographical work – *Poetry and Truth*, that refer to the real person - Charlotte Bouff-Kestner. In this work, Goethe talks about the real-life prototype of one of the main literary characters of his novel *The Sorrows of Young Werther*, Charlotte Bouff-Kestner, and his relationship with her.

The hopeless love for Charlotte Buff and the suicide of young Jerusalem in the same period because of his love for a married woman intertwined in Goethe's imagination. It's as if the difference between "poetry" and "truth", that is, fiction and reality, has been erased. Goethe wrote the novel *The Sorrows of Young Werther* in four weeks.

In *Poetry and Truth*, Goethe explains regarding Lotte's artistic portrait, that he made his "Lotte" out of several personal characteristics, but the main features of the artistic portrait was still taken from a loved one.

The events on which Goethe's novel *Werther* is based are not limited to the Goethe-Lotte-Kestner love triangle. The historical framework of the creation of the work is determined by the European reality of the 18th century.

The later life of Charlotte Bouff-Kestner is mainly interesting for our study as the life of the archetypal literary hero of the novels of Goethe and Thomas Mann. Charlotte's younger sister, Amalia's husband - Cornelius Riedel lived in Weimar. This fact caused Charlotte and Goethe to meet again after 44 years, in 1816. On September 25, Goethe made a short note about this meeting in his diary: "Dinner with the Riedels and Madame Kestner."

It is this line of Goethe's dry, business-like tone, and the reference to the arrival of Charlotte Bouff-Kestner in the documents of the Hotel *Elephant* in Weimar, that became the source of inspiration for Thomas Mann's novel *Lotte in Weimar*. Thomas Mann started working on the novel in 1936, while emigrating to America. He got to know Goethe's biography in detail, studied a lot of materials created by Goethe's contemporaries about him, dedicated essays to Goethe himself during the same period, and became familiar with Bode's studies on Goethe, where there was a report about the visit of the elderly Charlotte Buff-Kestner to Weimar.

In Thomas Mann's novel, the narrative begins with a description of Charlotte Kestner's historically documented visit to Weimar in 1816. Even in the title of the novel - (*Lotte in Weimar*), reality and fiction merge, because in Thomas Mann's novel, the artistic portrait of the real Charlotte Kestner (born Buff, 1753-1828) is imagined connected with Goethe's *Werther's* character Lotte.

Thomas Mann's novel is based on the idea that Charlotte Kestner is the prototype of the literary character Lotte from Goethe's novel. Although the protagonist of Thomas Mann's novel, Charlotte Kestner herself, sometimes doubts this, the majority of the characters in the novel are convinced that they have met the archetype of *Werther's* Lotte.

The artistic portrait of Charlotte Kestner, the main literary figure of Thomas Mann's novel, includes several layers of fictitiousness: it consists of alternating



reality and fiction. In the novel, first of all, the impression that the work is about one person - the real person Charlotte Buff is created. However, the old lady and the literary prototype of a young woman from Goethe's novel are no longer the same individual in Thomas Mann's novel.

In the novel, Thomas Mann wants to show the difference between different Charlottes: in addition to the main character of the novel, Charlotte Kestner, there is also a real Charlotte Kestner, whose artistic portrait the author relies on historical reports and facts. Literary truth indicating the historical truth – this is an actual oxymoron. Goethe's *Werther's* Lotte in Thomas Mann's novel is twice as fictitious and fictional. The confusing title of the novel also points to several versions of Charlotte depicted in different ways.

It was not so easy to combine Goethe of Wetzlar's period and Goethe of *Werther's* period in one artistic portrait in Thomas Mann's novel. Thomas Mann's Lotte does not depict reality with absolute accuracy. It is clear that in Thomas Mann's novel there is a balance between the real and the imagined. Thomas Mann's Charlotte is aware of her immortal literary status, although she sometimes finds it difficult to identify with the character Lotte. She constantly changes her mind about the similarities between herself and *Werther's* Lotte.

Charlotte's hesitation and uncertainty in Thomas Mann's novel is mainly due to *Werther's* description of Lotte's appearance.

Charlotte's attitude to the legendary artistic portrait created by Goethe is ambiguous: on the one hand, she is ashamed to show her feelings in public. On the other hand, Charlotte realizes that she is a part of the great writer's creative legacy. She gets a sense of being a myth.

Charlotte Kestner's character in Thomas Mann's novel *Lotte in Weimar* is already old and in a different time dimension. Charlotte is constantly observed and equated with Goethe's literary hero. For Charlotte Kestner, Goethe's literary character "Lotte" is part of her identity. But she is no longer just the young Lotte of the novel, she has changed. That's why Thomas Mann's Charlotte Kestner feels that fans perceive her only as a fictitious persona. This leads to the covering of her true reality, her true identity.

Charlotte Kestner's adventures in Weimar, created by Thomas Mann, takes place on the border between fact and fiction, reality and fantasy, real and imaginary, and does not offer the reader historically accurate facts. The alternating play between truth and fiction, reality and poetry allows the author to have poetic freedom.